საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ივლიანე ხაინდრავა

„წითელი ხაზებისა“ და არა მხოლოდ მათ შესახებ

151

2020

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

ომისთვის ერთი მხარეც საკმარისია,
მშვიდობისთვის კი ორია საჭირო.
იცჰაკ რაბინი

ქართულ პოლიტიკურ ზეპირსიტყვიერებაში ტერმინი „წითელი ხაზი“ 2008 წლის მოვლენების შემდეგ აქტიურად გამოიყენება. უმეტესწილად მას კონფლიქტების კონტექსტში ქართულ-რუსული, ხანდახან კი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების ფუნდამენტური ასპექტების წარმოსაჩენად მიმართავენ. იმავდროულად, ჩვენი რეალიების თანმდევი წითელი ხაზების უნიფიცირებული გაგება არ ჩამოყალიბებულა, რის გამოც ამ რანგს ხანდახან ისეთ მოცემულობებს ანიჭებენ, რომლებიც მას არ შეესაბამება; თავისი არსით ფიქტიური წითელი ხაზების სიჭარბე კი უარყოფითად აისახება კონფლიქტების სხვა მხარეებთან ურთიერთქმედების ახალი/დამატებითი გზების/ფორმების მოძიებაზე. წინამდებარე ანალიზის მიზანი აფხაზეთის კონფლიქტის მაგალითზე მხარეთა წითელი ხაზების ბუნების დადგენა, მათგან სხვა, ნაკლებად შემზღუდავი პოლიტიკური ფენომენების გამოცალკევება და, მთავარი შედეგის სახით, კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთქმედების დღემდე „ჩახერგილი“ ზოგი მიმართულების გამოაშკარავებაა.

ნახევარი საუკუნე იქნება, რაც ცნება „წითელი ხაზი“ (red line) პოლიტიკაში დამკვიდრდა. ის ასახავს პოლიტიკური სუბიექტის „თმენის ზღვარს“, ანუ თავისებური გაფრთხილებაა, რომ ოპონენტის მიერ ამ ხაზის გადაკვეთის შედეგად წონასწორობის (უსაფრთხოების) არსებული ფორმატი ჩამოიშლება და მას (ოპონენტს) საპასუხო ზომები არ ასცდება. წითელი ხაზებით მონიშნულია ის საზღვრები, რომელთაგან უკანდახევა ნაციონალური ინტერესების დაუშვებელ შელახვადაა მიჩნეული და, ამდენად, ერთმანეთისგან მიჯნავს პოლიტიკური მანევრისა და პოლიტიკური „ნაკრძალის“ სივრცეებს. უფრო ხშირად კონკრეტული მხარე ღიად აცხადებს, თუ რას მიიჩნევს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების მოუთმენელ შელახვად, სხვა მხარ(ეებ)ის რომელი ნაბიჯი იქნება აღქმული იმდენად მიუღებლად, რომ ადეკვატურ რეაგირებას გამოიწვევს, ხოლო პასუხისმგებლობა მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებისთვის წითელი ხაზის გადამკვეთს დაეკისრება.

მოლაპარაკებების ტექნიკა თუ ტაქტიკა ხანდახან რეალური (ჭეშმარიტი) წითელი ხაზის საიდუმლოდ შენახვას მოითხოვს, ანუ გაცხადებულ და ჭეშმარიტ წითელ ხაზებს შორის გარკვეული მანძილი შეიძლება იყოს (პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი), რაც მოლაპარაკებებში მეტ მოქნილობას ანიჭებს ამ ხრიკის

გამომყენებელს. ან, სულაც, წინასწარ ხდება ფიქტიური, ცრუ წითელი ხაზის გავლება (გაცხადება), რომლისგან შედარებით უმტკივნეულო უკანდახევის ფასად ვიზავისგან უფრო ღირებული დათმობის მოვაჭრება შეიძლება მოხერხდეს.

ტერმინ „წითელი ხაზის“ მოყვანილ ახსნა/განსაზღვრებას შეიძლება კიდევ ერთი, შიდაპოლიტიკური, განზომილება დავამატოთ: კონკრეტული მთავრობა ცდილობს მაღალი სიზუსტით დაადგინოს, თუ სად გადის წითელი ხაზი საზოგადოების აღქმაში (რას მოითმენს საზოგადოება და რას – არა), რათა არ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც მას უახლოეს არჩევნებზე (უარეს შემთხვევაში – მყისიერად) დააკარგვინებს ძალაუფლებას. ამ კომპონენტს ძალა დემოკრატიულ ქვეყნებში აქვს, ხოლო ავტორიტარული ხელისუფლებები ნაკლებად ითვალისწინებენ საზოგადოების განწყობას, ხელმძღვანელობენ რა სხვა პრიორიტეტებით გადაწყვეტილების მიღებისას. ამ თვალსაზრისით, ავტორიტარული რეჟიმები მომგებიან მდგომარეობაში არიან დემოკრატიებთან შედარებით, რომლებიც ვერ მოქმედებენ საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად და დემოკრატიული პროცედურების გვერდის ავლით.

პრაქტიკაში წითელი ხაზების „მისადგომები“ ხშირადაა გამაგრებული ნაირ-ნაირი (წინა)პირობებითა და („პრინციპული“, „ურყევი“) პოზიციებით. (წინა)პირობა ოპონენტის მიმართ ისეთი მოთხოვნ(ებ)ის ფორმით ყალიბდება ხოლმე, რომლის შესრულების გარეშე წინსვლა ურთიერთობებში გამოირიცხება. მხარის პოზიცია კონკრეტული საკითხის მიმართ მის საბაზისო მიდგომას გამოხატავს, საკუთრივ საკითხი კი შეიძლება მეტი ან ნაკლები მნიშვნელობისა იყოს. ერთიც და მეორეც ხანდახან წითელ ხაზად აღიქმება, თუმცა წითელი ხაზები მდგრადია დროისა და პოლიტიკური კონიუნქტურის (მაგალითად, ხელისუფლების ცვლილების) მიმართ, (წინა)პირობები და პოზიციები კი დროთა განმავლობაში, რეალიების ცვლილების კვალდაკვალ, თავადაც ექვემდებარება ცვლილებას. ეს ცვლილება შეიძლება (წინა)პირობისა თუ პოზიციის შერბილებაში ან, სულაც, მის დათმობაში გამოვლინდეს, მით უფრო მაშინ, როცა ოპონენტის მხრიდანაც ჩნდება მინიშნება საპასუხოდ საკუთარი თანაზომადი, „ურყევი“ პოზიციის შერბილება/დათმობის მზაობაზე.

აფხაზეთში განვითარებული კონფლიქტის შემთხვევაში წითელი ხაზების (და მათთან ერთად – წინაპირობებისა და პოზიციების) ამსახველი სურათი საკმაოდ კომპლექსურია, რადგან

არა ორ-, არამედ სამკომპონენტიანია: ქართული და აფხაზური მხარეების გარდა, ცალკე სუბიექტს წარმოადგენს რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიმართ აფხაზური და რუსული მიდგომები ახლოსაა ერთმანეთთან, ხშირად – თანხვედრილიც, მათ იდენტურს ვერ ვუწოდებთ, რაც გათვალისწინებას (და გამოყენებას) მოითხოვს. ურთიერთმიმართება კონფლიქტის სამ სუბიექტს შორის კი აშკარა ასიმეტრიით ხასიათდება: ცალკე, იზოლირებულად აღებული აფხაზეთის პოტენციალი მრავალჯერ ჩამოუვარდება საქართველოსას, ხოლო ამ უკანასკნელის შესაძლებლობები კიდევ უფრო მეტჯერ ჩამოუვარდება რუსეთისას. ამდენად, აფხაზეთის მიერ მონიშნული წითელი ხაზები უმეტესწილად ფუნქციონალურია იმდენად, რამდენადაც რუსეთი იზიარებს ან ეგუება მათ, ხოლო საქართველოს მიერ დეკლარირებული წითელი ხაზები ზეპირ დეკლარაციადვე დარჩებოდა, რომ არა დასავლეთის მხარდაჭერა. ამასთან, რუსეთის მიერ საქართველოს მისამართით დეკლარირებული და სამხედრო გზით გავლებული წითელი ხაზი (იხ. ქვემოთ) არა მხოლოდ საქართველოსთვისაა გაფრთხილება, არამედ – დასავლეთისთვისაც და იმ არეალში მყოფი ქვეყნებისთვისაც, რომელსაც რუსეთი საკუთარი (ექსკლუზიური) გავლენის სფეროდ განიხილავს.

რაც შეეხება დასავლეთს, მისი მხარდაჭერილი ქართული (და ზოგი სხვა ქვეყნის) წითელი ხაზები (მაგალითად, არაღიარება) ეწერება რევიზიონისტული რუსეთის შეკავების პოლიტიკაში, ემსახურება რა კრემლის მიერ საზღვრების ძალადობრივი გზით შეცვლისა და საკუთარი პოლიტიკური პროექტის სხვებისთვის თავს მოხვევის არდაშვებას. სხვა საკითხია, თუ როგორი წარმატებით ახერხებს ამას შიდა და გარე გამოწვევებით გადატვირთული, დეკონსოლიდაციის ფაზაში შესული დასავლეთი, ანუ რამდენად გადაულახავია პრაქტიკაში მისი მონიშნული წითელი ხაზები.

ამგვარად მოხაზული დისპოზიცია და ტერმინოლოგიური გარკვეულობა (ჩვენში დამკვიდრებული რეალიების შესატყვისი) დაგვეხმარება, ერთი მხრივ, წითელი ხაზების, მეორე მხრივ კი, (წინა)პირობებისა და პრინციპული (ურყევი) პოზიციების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და იმის დადგენაშიც, თუ რომელია რეალური (ჭეშმარიტი) და რომელი – ცრუ (ფიქტიური) წითელი ხაზი, აგრეთვე – რამდენად ურყევია ზოგი პოზიცია და (წინა)პირობა. დავიწყოთ აფხაზური მხარით.

აფხაზები საბოლოოდ შემდგარ ფაქტად მიიჩნევენ *აფხაზეთის დამოუკიდებლობას.* რაოდენ ნაკლულიც (ეფემერული) არ უნდა იყოს ეს დამოუკიდებლობა, სოხუმი არ განიხილავს ამ თემაზე დის-

კუსიის გამართვის შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია, რომ აქ მხოლოდ საქართველოსგან დამოუკიდებლობა როდი იგულისხმება, არამედ სოხუმის მთავარი (და ერთადერთი) მფარველ-პატრონის – რუსეთის ფედერაციისგანაც. აფხაზები ღიად და მკვეთრად უარყოფითად რეაგირებენ რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ინკორპორაციის ნებისმიერ ინიციატივაზე, რომელიც პერიოდულად გაისმის ჩრდილოეთიდან, ზეწოლის მიუხედავად ჯერჯერობით ინარჩუნებენ შიდა კანონმდებლობის ზოგ ისეთ ნორმას, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ თავი დაიცვან რუსული მოძალებისგან. ნიშანდობლივია, რომ აფხაზებმა მოახერხეს მოსკოვის მიერ 2014 წელს შემუშავებული „სახელმწიფოთაშორისი“ ხელშეკრულების არა მხოლოდ სათაურის გადასხვაფერება („მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ ნაცვლად დაფიქსირდა „მოკავშირეობა და სტრატეგიული პარტნიორობა“), არამედ ხელშეკრულების საბოლოო ვერსიაში რიგი მუხლების ისეთ ფორმულირებას მიაღწიეს, რომ საშინაო საქმეებში სუვერენიტეტი ხელშესახები დოზით შეინარჩუნეს. ამდენად, დამოუკიდებლობა – რეალური, ჭეშმარიტი წითელი ხაზია აფხაზებისთვის და მისგან მათი მშვიდობიანად უკანდახევის პერსპექტივა არ იკვეთება.

იმავდროულად, ამ ციხესიმაგრეს მაინც აქვს სუსტი ადგილი – აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფები (რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ) სულაც არ არიან ისევე კატეგორიულები ამ საკითხში, როგორც ეთნიკური აფხაზები. ამ უკანასკნელებმა ეს მშვენივრად იციან და ამიტომაცაა, რომ სოხუმის პოლიტიკური კურსის განსაზღვრას არააფხაზებს ახლოსაც არ აკარებენ (ცხადია, აფხაზურ ეთნოკრატიას სხვა გარემოებებიც ასაზრდოებს). სწორედ ამ ფაქტორის, აგრეთვე, სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელი რესურსების აშკარა ნაკლებობისა და რუსეთის ნება-სურვილზე უაღრესი დამოკიდებულების გამო, პირველი აფხაზური წითელი ხაზი დაჟინებით დაკვირვებისას წყვეტილ ხაზს ემსგავსება.

იმავეს ვერ ვიტყვით მათ მეორე წითელ ხაზზე, რომლის არსი და დანიშნულებაც *ქართველი დევნილების არდაბრუნებაა.* ამის თაობაზე ღიად საუბარს აფხაზები ერიდებიან, მაგრამ საქმით კი არანაკლებ (ქვეცნობიერად – უფრო მეტად) კატეგორიულები არიან, ვიდრე დამოუკიდებლობის საკითხში. საგულისხმოა, რომ ჟენევის დისკუსიების 12 წლის მანძილზე დევნილთა დაბრუნების თემის განხილვაში ჩვენი ოპონენტები საერთოდ არ შემოსულან. არამც თუ ომამდელი დემოგრაფიული ვითარება, არამედ გალის

რაიონის ომის შედეგად განახევრებული ქართული მოსახლეობაც კი (დანარჩენი საქართველოთი ზურგმომაგრებული) აფხაზობის მიერ მთავარ გამოწვევად აღიქმება მათი დამოუკიდებლობისთვის (და იდენტობისთვის), რამდენადაც ბევრი ქართველი აფხაზეთში ნიშნავს არა აფხაზურ, არამედ ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამასთან, ქართველების მასობრივი დაბრუნება აფხაზეთში არც სხვა იქაურ ეთნიკურ ჯგუფებს ხიბლავს სხვადასხვა მიზეზის გამო (ბუნებრივია, გარდა საკუთრივ ქართველებისა) და ამრიგად, აღნიშნული წითელი ხაზი ერთობ მსხვილიცაა[1].

ამ ორ წითელ ხაზთან ერთობლიობაში ჟღერდება აფხაზთა (წინა)პირობა ოპონენტის (ქართული მხარის) მიმართ: გავაფორმოთ *ხელშეკრულება ძალის არგამოყენების შესახებ.* ანუ ქართული მხარის მიერ ამ პირობის შესრულებამდე შერიგება და, მით უფრო, კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდებაო. საპასუხო ქართული არგუმენტები ცნობილი და დამაჯერებელია, მაგრამ ამ საკითხს აფხაზური მხარე (რუსეთის მხარდაჭერით) მუდმივად და ჯიუტად აყენებს ჟენევის დისკუსიების ყოველ რაუნდზე. ბევრის აზრით, ამგვარი დაჟინების მიღმა მარტივი პოლიტიკური მიზანი იკითხება – „შეაცდინოს“ საქართველო და ერთობლივ დოკუმენტზე ორმხრივი ხელმოწერის ფაქტით გაუთანაბროს საკუთარი (არაღიარებულის) სტატუსი საქართველოს (აღიარებულის) სტატუსს. სხვების აზრით, ეს თემა რუსების შემოგდებულია, რათა გაგრძელდეს უძრაობა დისკუსიებში (ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში), ამასობაში კი ჯუჯა აფხაზეთი საბოლოოდ შთანთქოს გიგანტმა-რუსეთმა. ასეა თუ ისე, თუნდაც სოხუმის ახალი ხელმძღვანელობის რიტორიკა მიგვანიშნებს, რომ არის სივრცე, სადაც შესაძლებელია ურთიერთქმედება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, ანუ ეს წინაპირობა გვერდზე გადაიდება, თუკი ხელშესახები შედეგების პერსპექტივა გაჩნდება. ქართული მხრიდან კი შემხვედრი (და სავსებით ლოგიკური) (წინა)პირობის წამოყენების შესაძლებლობაა განსახილველი – კი, ბატონო, გავაფორმოთ დოკუმენტი ძალის არგამოყენების შესახებ, ოღონდ იმ დათქმით, რომ ის მხოლოდ დეოკუპაციის (რუსეთის სამხედროების აფხაზეთიდან სრული გაყვანის) შემდეგ ამოქმედდება.

იმავდროულად, აფხაზების ამ დაჟინებაში პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის დანახვაც შეიძლება. თუკი აფხაზებს ხელთ ექნებათ ქართული მხარის მიერ მათთან ერთად ხელმოწერილი დოკუმენტი ძალის გამოუყენებლობის შესახებ (ანუ უშუალოდ აფხაზებისა და არა „საერთაშორისო თანამეგობრობის“ წინაშე აღე-

ბული ვალდებულება), ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღარ გაახანგრძლივონ ხელშეკრულება რუსეთთან ამ უკანასკნელის სამხედრო ბაზის აფხაზეთში ყოფნის თაობაზე. სამწუხაროდ, ეს მშვენიერი დღე თეორიულადაც კი მხოლოდ 2059 წელს შეიძლება დადგეს – 2010 წელს ხელმოწერილი შეთანხმება მოქმედებს 49 წლით, მომდევნო 15 წლით ვადის ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობით...

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, აფხაზური (და სხვებისაც) წითელი ხაზების მისადგომები გამაგრებულია „ურყევი“, „პრინციპული“ პოზიციებით, როგორიცაა, მაგალითად, დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლის მაქსიმალური შეზღუდვა. თუკი საკუთრივ აფხაზეთში ეთნიკური ქართველების შესვლაზე (სამხრეთიდან იქნება ეს თუ ჩრდილოეთიდან) შეზღუდვის ახსნა (ახსნა და არა გამართლება) შესაძლებელია, აფხაზთა დანარჩენ საქართველოში ვიზიტების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც ადრესატისთვის უსიამოვნებების მომასწავებელია (ექსტრაორდინარული ვითარებების გამოკლებით) და, არსებითად, აკრძალვის ტოლფასია, რაციონალური თვალსაზრისით ვერ აიხსნება. მის მიღმა წვრილმანი ეჭვიანობა/შურიანობა თუ ამოიკითხება – აფხაზებმა არ უნდა დაინახონ საკუთარი თვალით, რომ სხვადასხვა პარამეტრით ცხოვრების ხარისხი საქართველოში უკეთესია, ვიდრე არამც თუ სოხუმში, არამედ – რუსეთშიც კი. ამ „ურყევ“ პოზიციას, თუმცაღა, დროც არყევს (ბერლინის კედელიც დაინგრა), რეალიებიც (მაგალითად – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჯანდაცვის მოთხოვნილება) და სოხუმის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის კურსიც უფრო მოზომილია, ვიდრე მისი წინამორბედისა (ყოველ შემთხვევაში – გალელთა დანარჩენ საქართველოსთან კავშირების კუთხით).

კიდევ ერთი „ურყევი“ აფხაზური პოზიცია – „აფხაზეთის მოქალაქეობის“ არმქონე პირებისთვის უძრავი ქონების შეძენა/ფლობაზე შეზღუდვა – თვალდათვალ ირყევა. პანდემიით გამწვავებული ეკონომიკური სიდუხჭირე აიძულებს სოხუმს ეძიოს გზები უცხოური (არსებითად – რუსული) კერძო ინვესტიციების მოსაზიდად, რასაც ზემოხსენებული აკრძალვა გადაულახავ ზღუდედ ევლინება. ამიტომ აფხაზეთში დაიწყო დისკუსიები ე.წ. „დეპრესიულ“ რაიონებში (ტყვარჩელი, ოჩამჩირე, გალი) „წინმსწრები განვითარების ზონების“ (თავისუფალი ეკონომიკური ზონების ნაირსახეობის) შექმნის თაობაზე, სადაც რუსეთის მოქალაქეებს შეეძლებათ აპარტამენტების (მაგრამ არა მიწის) ყიდვა, ნებისმიერი ვადით იქ

ცხოვრება და ბიზნესსაქმიანობის წარმოება ხელსაყრელ გარემოში. როგორი იქნება ამ წამოწყების თაობაზე რუსი ბეზნესმენების (და ხელისუფლების) რეაქცია, ჯერ ცხადი არაა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ საკუთრივ აფხაზები ალაპარაკდნენ იმაზე, რაზეც სულ ცოტა ხნის წინ ფიქრსაც კი ერიდებოდნენ. აქ სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა რეალიების ცვლილება პოზიციების გადასინჯვას იწვევს[2].

საქართველოს მიზანი აფხაზეთის დაბრუნებაა და, შესაბამისად, მისი მთავარი წითელი ხაზი *აფხაზეთის დამოუკიდებლობის არაღიარებაზეა* გავლებული. თეორიულად შესაძლებელია აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე ქართული და აფხაზური წითელი ხაზების შეთავსება (ურთიერთგაბათილება), მაგალითად, ასეთი სქემით: მიიღება ე.წ. პაკეტური გადაწყვეტილება, როცა საქართველო აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, აფხაზეთი კი იმავე მაგიდასთან ხელს აწერს დოკუმენტს საქართველოსთან (კონ)ფედერაციულ სახელმწიფოში გაერთიანების შესახებ. მხარეებს შორის ურთიერთუნდობლობის არსებული ხარისხი და მომავლის განსხვავებული ხედვა, თუმცაღა, ამგვარი თეორეტიზირებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ნამდვილად ვერ ქმნის.

მეორე წითელი ხაზი – *დევნილები უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში* – დახუნძლულია მრავალი თანმდევი პრობლემით. ჯერ ერთი, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ დაბრუნება მხოლოდ პირველი ამოცანის (საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის რეინტეგრაციის) გადაწყვეტის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს – საქართველო ვერ გაცვლის დაბრუნებას აღიარებაში, აფხაზებმა შესაბამისი მზაობა რომც გამოხატონ. მეორე: ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება – ადეკვატური ფორმულაა, რომელიც მრავალი პარამეტრის არსებობა/დაზუსტებას მოიაზრებს, როგორიცაა: რამდენია პოტენციური დამბრუნებელი? რომელ ადგილებში? რა ვადებში? რა პირობებია მათთვის შესაქმნელი და ვისი ფულით? როგორ იქნება უზრუნველყოფილი მათი უფლებები? და ა.შ. მესამე: გალის რაიონში დღეს მცხოვრებნი არიან თუ არა დაბრუნებულები? დევნილთა იმ საერთო რიცხოვნობაში, რომელზეც აპელირებს თბილისი, გალელები შედიან თუ არა? მეოთხე: გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური რეზოლუციები იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (რომლებიც მარეკომენდირებელი და არა დამავალდებულებელი ხასიათისაა) რამდენად გვაახლოებს დაბრუნების მიზანთან? ის პოლიტიკურ-დიპლომატიური ძალ-

ისხმევა, რომელიც ყოველწლიურად მიემართება გენასამბლეაზე მხრადაჭერის მობილიზებისთვის, რამდენად წარმოადგენს არცთუ უსაზღვრო საგარეო-პოლიტიკური რესურსის ოპტიმალურ ხარჯვას? როდემდე გაგრძელდება ეს „რეზოლუციური ეპოპეა“? საქართველოს ამ წითელი ხაზის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის გულწრფელია და, ამდენად, არაა ცრუ, მაგრამ მაინც რჩება კითხვა, თუ რამდენადაა ის რეალისტური.

კიდევ ერთი ქართული წითელი ხაზი *ტერიტორიების დეოკუპაციის* მოთხოვნის ფორმითაა ჩამოყალიბებული და, ამდენად, (წინა)პირობას წააგავს (დეოკუპაცია, როგორც ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა). მისი ბუნება კი იმაში ვლინდება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით რუსეთმა საერთაშორისო მნიშვნელობის წითელი ხაზი გადალახა, დაარღვია რა მეზობელი ქვეყნის საზღვარი, ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, მაგრამ ხაზი ამით არ გამქრალა და ამოცანა რუსეთის ისევ ამ ხაზის მიღმა დაბრუნებაში მდგომარეობს. იმავდროულად, ამ მსხვილი წითელი ხაზიდან გამომდინარე ისეთი პოზიცია, როგორიცაა „საოკუპაციო რეჟიმი“, უკვე აღარაა ისევე ერთმნიშვნელოვანი, როგორც ოკუპაციის ფაქტი. მით უფრო, როცა ეს ტერმინი მხოლობით რიცხვში გამოიყენება, ანუ თითქოს სოხუმსა და ცხინვალში ერთი და იმავე რეჟიმის ადმინისტრაციები სრულად (და ერთნაირად) მართავენ ვითარებას[3]. ავტონომიურობით კი სოხუმიც და ცხინვალიც სარგებლობენ, თუმცა მისი ხარისხი განსხვავებულია – სოხუმს მეტი აქვს და კიდევ უფრო მეტი უნდა. გასაგებია, რომ ორივეგან ადგილობრივ ხელისუფლებებს ზურგს ოკუპანტი ქვეყანა უმაგრებს, რომ ბევრი რამ მისი ღია თუ ფარული კარნახით ხდება, მაგრამ სოხუმის შემთხვევაში ზოგი რამ ოკუპანტის ჩარევის გარეშე, ხანდახან კი მისი ნების საწინააღმდეგოდაც მომხდარა, მათ შორის – სწორედ დე ფაქტო ხელისუფლების ფორმირებისას. კლიშე „საოკუპაციო რეჟიმი“ კი ყველა ისარს მოსკოვისკენ მიმართავს, რაც ვერ ასახავს ადგილობრივ რეალიებს, პასუხისმგებლობას უხსნის დე ფაქტო ხელისუფლებას ცუდი ნაბიჯებისთვის და სტიმულს უკარგავს კარგი ნაბიჯების გადასადგმელად (ყველაფერი მაინც მოსკოვს მიეწერება).

ამ ვითარებასთან უშუალოდაა დაკავშირებული ქართული პრინციპული პოზიცია – *აფხაზების კონფლიქტის მხარედ არაღიარება,* რაც ფიქტიურობის ნიშნების მატარებელია. ჯერ ერთი, მიდგომა, რომლის თანახმად, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აფ-

ხაზური მონაწილე არ მიიჩნევა მხარედ, სულ მცირე, პარადოქსულია; მეორე, მრავლადაა დოკუმენტები, სადაც ქართულთან ერთად აფხაზურიც იწოდება კონფლიქტის მხარედ[4]; მესამე, ჩვენ მიერ კონფლიქტის მხარედ არაღიარებულმა აფხაზებმა რომ დააპირონ მხარის სტატუსით იმგვარი დოკუმენტის ხელმოწერა, რომლის ძალითაც, მაგალითად, ორივე მიმართულებით აღდგება თავისუფალი გადაადგილება მდინარე ენგურზე, ჩვენ ამაზე უარს ვეტყვით?

არგუმენტი, რომ 2008 წლიდან, როცა რუსეთმა განახორციელა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მოახდინა მისი ტერიტორიების ოკუპაცია, ეფექტურად აკონტროლებს აფხაზეთს (და სამხრეთ ოსეთს) და, ამდენად, მხარეც ისაა, ვერაა ამომწურავი, რადგან ის ფაქტი, რომ რუსულ-ქართულმა კონფლიქტმა „დაჩრდილა“ ქართული-აფხაზური, სულაც არ ნიშნავს ამ უკანასკნელის გაქრობას საერთოდ[5]. ამ ნაკლული არგუმენტით ცდილობენ შენიღბონ შიში იმის გამო, თითქოს აფხაზების კონფლიქტის მხარედ მოხსენიებას მივყავართ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ საერთაშორისო აღიარებამდე. ეს შიში, თუმცაღა, გადაჭარბებულია: კონფლიქტების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორები, „მხარედ“ მოხსენიება თავისთავად არ განსაზღვრავს სუბიექტის სამართლებრივ სტატუსს და მით უფრო არ ნიშნავს ავტომატურ რეჟიმში დამოუკიდებლობის შემდგომ აღიარებას მაშინაც კი, როცა ეს მხარე ამისკენ ისწრაფვის. მოლდოვაში განვითარებულ კონფლიქტში დნესტრისპირეთი უკვე 28 წელია მხარედ იწოდება, მაგრამ არავის (რუსეთსაც კი) არ უღიარებია მისი დამოუკიდებლობა; კვიპროსის შემთხვევაში სეცესიონისტური მხარე (ე.წ. „ჩრდილო კვიპროსის რესპუბლიკა“) 1983 წლიდან თურქეთის გარდა არავის უღიარებია.

კიდევ ერთი, დღემდე ურყევი, ქართული პოზიცია – ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული (ან ნეიტრალური) პასპორტის არმქონე მოქალაქეების უცხოეთში მგზავრობის შეზღუდვაა. ამ პოზიციის პოლიტიკური შედეგიანობა, რომ არაფერი ითქვას მის ჰუმანიტარულ შემადგენელზე (განსაკუთრებით – სამედიცინო და სასწავლო მიზნებით დასავლეთის ქვეყნებში გამგზავრების საჭიროებისას), კითხვებს აჩენს შინ თუ გარეთ, რადგან ეწინააღმდეგება ურთიერთნდობის აღდგენისა და შერიგების ამოცანებს, ზრდის გაუცხოების ხარისხს, ხელს უწყობს რუსეთის დომინირებას აფხაზეთში.

მსგავსი პოზიციები – მოუგვარებელი კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ვითარებაში ჩამოყალიბებული – ინერციით მოჰყვება ქართულ (და აფხაზურ) პოლიტიკას, წლების მანძილზე არ ზუსტდება, არ გადაისინჯება, არ ბარდება წარსულს, სადაც და როცა ეს საჭიროა, და ემსახურება მხოლოდ უძრაობას ორმხრივ ურთიერთობებში მაშინ, როცა ამგვარი უძრაობა ორივესთვის სავალალო შედეგების მომასწავებელია.

რუსეთის მთავარი წითელი ხაზი – კონფლიქტების კონტექსტში ის მთელი სიცხადით გამომჟღავნდა – *საქართველოს ნატოში ინტეგრაციის არდაშვებაა*[6]. ამ ხაზის არამც თუ გადაკვეთასთან, არამედ მასთან მიახლოებასთან დაკავშირებული რისკების რეალურობა რუსეთმა დაადასტურა იარაღით – 2008 წელს – საქართველოში, 2014-ში – უკრაინაში. რადგან რუსეთი მართლაც განიხილავს თავის საზღვრებთან ნატოს მოახლოებას საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებისათვის (უსაფრთხოებისათვის) უშუალო საფრთხედ (თუ რამდენად დასაბუთებულად – სხვა საკითხია), აღნიშნული წითელი ხაზი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ინტენსიურად წითელია. შეიძლება ისიც ითქვას, რომ რუსეთის ყველა დანარჩენი წყვეტილი წითელი ან მოწითალო უწყვეტი ხაზი, (წინა)პირობა თუ პოზიცია (არსებითად – მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში“) გამომდინარეობს საქართველოს (უკრაინის, მოლდოვის...) ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პრევენციის (პროგრამა-მინიმუმი), საუკეთესო შემთხვევაში კი საქართველოს (უკრაინის, მოლდოვის...) ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის განზრახვიდან (პროგრამა-მაქსიმუმი).

რუსეთის მიერ 2008 წლის მოვლენების შემდეგ ოპონენტების მიმართ გაჟღერებული (წინა)პირობა მოითხოვს მათგან (საქართველოსგან – უპირველესად) *ახალი (სამხედრო-პოლიტიკური) რეალიების აღიარებას.* ამ რეალიებში იგულისხმება: ა) აფხაზეთის (და სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე მოსკოვის გადაწყვეტილების შეუქცევადობა (მისი გამოწვევის საკითხი არ განიხილება) და ბ) აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში საკუთარი სამხედრო ბაზების განლაგების „ლეგიტიმურობა“, რაკი ეს განხორციელდა „სუვერენულ სახელმწიფოებთან“ – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან – ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. ამ წინაპირობაში ასახულია რუსეთის პრინციპული პოზიცია, რომლის თანახმად, 1991 წლის საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ჩაბარდა წარსულს საბჭოთა კავშირთან ერთად, ხოლო

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არანაირ ოკუპაციას ადგილი არ აქვს.

აღიარების შეუქცევადობა განპირობებულია არა მხოლოდ იმიჯურ/პრესტიჟული დანაკარგების შიშით (ვანუატუ ან ტუვალუ ხომ არაა რუსეთი, დღეს რომ ასე გადაწყვიტოს, ხვალ – ისე), არამედ პოლიტიკური კურსის თანმიმდევრულობის დადასტურების მოთხოვნილებითაც – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მოჰყვა ყირიმის ანექსია, შემდეგ – სირიის სამოქალაქო კონფლიქტში უშუალო ჩარევა. რუსეთი ახდენს საკუთარი ძალის დემონსტრირებას, რაც მას სასარგებლოდ მიაჩნია როგორც „შიდა მოხმარებისთვის" (ჩრდილოკავკასიელებისთვის, მაგალითად), ისე „ახლო საზღვარგარეთში" (კიდევ ვინმე საქართველოს და უკრაინის გზას რომ არ დაადგეს) და გლობალურადაც, რათა სერიოზული გეოპოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა მისი მონაწილეობის გარეშე არ ხდებოდეს. ასევე ძალის დემონსტრირების კონტექსტშია განსახილველი სამხედრო ბაზების (კონტინგენტების) სხვის ტერიტორიაზე შენარჩუნება/განლაგების პოლიტიკა, რომელიც საქართველოს შემდეგ სირიაში გაგრძელდა და ახლა ლიბიასაც კი გადასწვდა.

იმავდროულად, თქმა იმისა, თითქოს აფხაზეთის დამოუკიდებლობა და იქ თავისი სამხედრო ბაზის ყოლა რუსეთისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს, აშკარა გადაჭარბება იქნებოდა. აფხაზეთის შეძენამ კავკასიაში და შავ ზღვაზე პოზიციების განმტკიცებასთან ერთად, რუსეთს დამატებითი თავსატკივარიც შემატა[7], ხოლო იქ სამხედრო ბაზის ყოფნა/არყოფნის საკითხი მისი მთავარი წითელი ხაზის კონტექსტში განიხილება.

წითელი ხაზების/(წინა)პირობების/პოზიციების კონტექსტში **სამხრეთ ოსეთი** ცალკე განხილვას მოითხოვს, რადგან განსხვავებები აფხაზეთთან აშკარა და მნიშვნელოვანია[8]. აქ მხოლოდ იმის კონსტატაციას მოვახდენთ, რომ ცხინვალმა ერთი ყოვლისმომცველი წითელი ხაზი ე.წ. ბორდერიზაციის მეშვეობით შემოივლო, რითიც განაცხადა: *არ გვინდა საქართველო და ქართველები.* 2008 წლის აგვისტოს კატასტროფის შემდეგ „ბორდერიზაციას" ცხინვალის დე ფაქტო და მოსკოვის ხელისუფლებების მიერ მიზანმიმართულად წახალისებული გაუცხოების პროცესიც დაერთო, რის ფონზეც აღნიშნული წითელი ხაზი მსხვილდება. რეგიონში ომის შემდგომ გამეფებული განწყობების შეცვლას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. იმავდროულად, აქ შესავალში ნახსენებ სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა წითელი ხაზი ფუნქციონალ-

ურია იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფილია რუსეთის ძალით; ამ ფაქტორის გარეშე ოსების დამოკიდებულება ქართველების/საქართველოს მიმართ ესოდენ ხისტი არ და ვერ იქნებოდა.

* * *

ვიდრე ქართული და აფხაზური საზოგადოებები გამონახავენ თანაცხოვრების ისეთ ალგორითმს, რომელიც წაშლის მათ შორის დღემდე გადაულახავ წითელ ხაზებს, ჯერ ამ ხაზებს შორის არსებული სივრცე უნდა გაიწმინდოს ფსევდოპრინციპული და მოჩვენებითად „ურყევი“ პოზიციებისგან, იმგვარი წინაპირობებისგან, რომლებიც აბრკოლებენ ადამიანების ნორმალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ ყოფაში დაბრუნებას (კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს).

სოხუმში უკვე აცნობიერებენ – შეუძლებელია მუდმივად მტრობაში ცხოვრება[9].

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიუხედავად ნებაყოფლობით დაბრუნების საყოველთაოდ აღიარებული უფლებისა, კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას ყოველთვის როდი მისცემია თავის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესაძლებლობა, მათ შორის – ევროპაშიც, კერძოდ კი, ყოფილ იუგოსლავიაში (ავტორის შენიშვნა).
2. თავისი შესაძლო შედეგებით კიდევ უფრო შემაშფოთებელია რუსეთისა და აფხაზეთის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამის ამოქმედება. https://www.interpressnews.ge/ka/article/630630-sagareo-ucqeba-rusetis-da-okupirebul-apxazets-shoris-ertiani-socialuri-da-ekonomikuri-sivrcis-pormirebis-shesaxeb-programis-damtkiceba-c 25 ნოემბერი, 2020
3. გაეროს დოკუმენტებში სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებები მოხსენიებული არიან, როგორც „authorities in control in Abkhazia and South Ossetia“ (ავტორის შენიშვნა).
4. ასეთებია, მაგალითად, 1994 წ. 14 მაისის მოსკოვის „შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები №№858, 892, 993, 1036, 1065, ევროპარლამენტის 1996 წლის 14 ნოემბრის რეზოლუცია და კიდევ მრავალი სხვა – იხ. „რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ [1989-2001]. პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული“; შემდგენელი – თ. დიასამიძე, თბილისი, 2002
5. უფრო დეტალურად იხ.: Ivlian Haindrava “Transformation: on the role of Georgian-Abkhaz and Georgian-Ossetian conflicts in Georgian-Russian relations”, GFSIS, 2017 https://www.gfsis.org/files/library/pdf/English-2467.pdf. საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში აფხაზეთი (და სამხრეთ ოსეთი) მოხსენიებულები არიან „მხარეებად“ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგაც. იხ. მაგ., ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წ. 2 ოქტომბრის რეზოლუცია №1633 („parties to the conflict“), http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17681 და „ტალიავინის მოხსენება“ („sides involved in the conflict“) https://smr.gov.ge/en/page/21/strategiuli-dokumentebi.
6. უკვე გავლებული ამ ხაზის დანიშნულება იმჟამად რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა 2011 წლის 21 ნოემბერს ვლადიკავკაზის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცებთან შეხვედრისას ცხადყო: „2008 წელს ჩვენ რომ შევმდრკალიყავით, ახლა სხვაგვარი იქნებოდა გეოპოლიტიკური განლაგება და მთელი რიგი ქვეყნები, რომლების ხელოვნურად შეთრევასაც ცდილობდნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, დიდი ალბათობით უკვე იქ იქნებოდნენ“. https://www.radiotavisupleba.ge/a/24398283.html
7. უფრო დეტალურად იხ.: I.Haindrava “Cost of Gains” www.gfsis.org/ge/publications/view/2525, 2018
8. იქვე.
9. სერგეი შამბას ინტერვიუდან www.ekhokavkaza.com/a/30772165.html 8 აგვისტო, 2020